ახალ წელს ახალი გამარჯვებებით გეველოთ, ძვირფასო მეგობრებო!

ბაკურიანის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარი ისეთი უხვი, როგორიც წლეულს, არასოდეს ყოფილა. აქ გაიმართება რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირები. ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე დიდი ტრამპლინიდან ხტომაში გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირი იწვევს. ამ ასპარეზობაში (ჩატარდება 16-17 იანვარს) მონაწილეობაზე თანხმობა 11 ქვეყნის გუნდებმა გამოგზავნეს. მათს გარდა ბაკურიანში ვიხილავთ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო „მფრინავ მოთხილამურეებს", რომლებიც 9-10 იანვარს სსრ კავშირის თასისთვის იბრძოლებენ.

ბაკურიანი უმასპინძლებს, აგრეთვე, რესპუბლიკურ ჩემპიონატს, საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადას, სამთომოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებას „ლელოს" პრიზზე, რომელიც საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი იქნება, ბულგარეთისა და საქართველოს სპორტსმენთა მატჩს...

ბაკურიანში სათხილამურო სეზონი დეკემბრის დამლევს გაიხსნა. იმ ასპარეზობის ანგარიში უკვე გამოვაქვეყნეთ. მაშინ ვწერდით, რომ რბოლებში ყველას აჯობეს ნარგიზა ბალაშვილმა („ბურევესტნიკი") და ზვიად გულბანმა („კოლმეურნე"). თქვენ მათი ასპარეზობის ამსახველ მომენტებს ქვედა სურათებზე ხედავთ. ზედა სურათზე კი გიგანტურ სლალომში შეჯიბრების მომენტია ასახული.

ჩვენი რესპუბლიკის „თეთრ მარგალიტს" წლეულს უამრავი საზრუნავი აქვს. იმედია, ბაკურიანის ბაზები და ტრასები გამოცდას კარგად ჩააბარებენ.

ო. გელაშვილის ტექსტი და ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 1
(4251)

1971 წ.
3 იანვარი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ახალი წელი — სპარტაკიადის წელი

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

წლეულს ზაფხულში მოსკოვში მეხუთედ ექნება ფინიში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას. ამ დიდი შეჯიბრების წინასწარ ეტაპებში მილიონობით ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა — ყოველ ქალაქში, სოფელში, საწარმოში, სკოლასა თუ მშენებლობაზე გამართულ მასობრივ სპარტაკიადებში გამოვიდა.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალური სტარტების წელიწადი საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენების მიღწევების დათვალიერების წლადაც მოგვევლინება — უძლიერეს საბჭოთა სპორტსმენებს ხომ 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მოუწევთ ასპარეზობა.

30 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა სპარტაკიადის ფინალური ტურნირების კენჭისყრა კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთსა და წყალბურთში.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები ქვეჯგუფებად დაიყვნენ, სადაც წინასწარ შეჯიბრებებს გამართავენ. ყოველი ქვეჯგუფიდან ორი უძლიერესი გუნდი ფინალში გავა და სპარტაკიადის ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს.

კალათბურთელები ტურნირს 6 ივლისს დაიწყებენ. აი, წინასწარი ქვეჯგუფების შემადგენლობანი: **ქალები.** I ქვეჯგუფი — 1. თურქმენეთი, 2. საქართველო, 3. სომხეთი, 4. ესტონეთი, 5. ლატვია, 6. ყაზახეთი; II — 1. ლენინგრადი, 2. ლიტვა, 3. მოსკოვი, 4. აზერბაიჯანი, 5. ყირგიზეთი; III — 1. უკრაინა, 2. უზბეკეთი, 3. რსფსრ, 4. ბელორუსია, 5. მოლდავეთი. **ვაჟები.** I — 1. ყირგიზეთი, 2. საქართველო, 3. უკრაინა, 4. რსფსრ, 5. უზბეკეთი, 6. თურქმენეთი; II — 1. მოსკოვი, 2. სომხეთი, 3. ლენინგრადი, 4. აზერბაიჯანი, 5. ლიტვა; III — 1. ესტონეთი, 2. მოლდავეთი, 3. ყაზახეთი, 4. ბელორუსია, 5. ლატვია.

ფრენბურთელები შეჯიბრებას 18 ივლისს დაიწყებენ. აი, ქვეჯგუფების შემადგენლობანი: **ქალები.** I — 1. მოსკოვი, 2. ლიტვა, 3. რსფსრ, 4. სომხეთი, 5. საქართველო; II — 1. უკრაინა, 2. ლატვია, 3. ლენინგრადი, 4. ტაჯიკეთი, 5. ყაზახეთი; III — 1. თურქმენეთი, 2. ბელორუსია, 3. ესტონეთი, 4. ყირგიზეთი, 5. უზბეკეთი, 6. აზერბაიჯანი. **ვაჟები.** I — 1. საქართველო, 2. ყირგიზეთი, 3. თურქმენეთი, 4. რსფსრ, 5. სომხეთი, 6. უკრაინა; II—1. მოსკოვი, 2. ბელორუსია, 3. უზბეკეთი, 4. ესტონეთი, 5. ლიტვა; III — 1. ყაზახეთი, 2. მოლდავეთი, 3. აზერბაიჯანი, 4. ლატვია, 5. ლენინგრადი.

ხელბურთელები 18 ივლისს აიღებენ სტარტს. ქვეჯგუფების შემადგენლობანი ასეთია: **ქალები.** I — 1. უკრაინა, 2. აზერბაიჯანი, 3. საქართველო, 4. ყაზახეთი; II— 1. რსფსრ, 2. უზბეკეთი, 3. თურქმენეთი, 4. ლიტვა, 5. სომხეთი; III — 1. ლენინგრადი, 2. ბელორუსია, 3. მოლდავეთი, 4. მოსკოვი, 5. ყირგიზეთი. **ვაჟები.** I — 1. თურქმენეთი, 2. ლიტვა, 3. სომხეთი, 4. რსფსრ; II — 1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. ლატვია, 4. აზერბაიჯანი, 5. ბელორუსია; III — 1. მოსკოვი, 2. მოლდავეთი, 3. უზბეკეთი, 4. ყაზახეთი, 5. ლენინგრადი.

წყალბურთელები 19 ივლისს ჩაებმებიან ბრძოლაში. ქვეჯგუფების შემადგენლობანი: I — 1. უზბეკეთი, 2. ბელორუსია, 3. საქართველო, 4. მოლდავეთი, 5. უკრაინა; II — 1. ყაზახეთი, 2. ყირგიზეთი, 3. აზერბაიჯანი, 4. სომხეთი, 5. რსფსრ; III — 1. ლიტვა, 2. მოსკოვი, 3. თურქმენეთი, 4. ლენინგრადი.

დასავლეთშიც წარმატებით

პერტი, 31 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ წარმატებით აიღო სტარტი დასავლეთ ავსტრალიის აქ დაწყებულ ღია პირველობაში: პირველ წრეში მან დაამარცხა ავსტრალიელი ბ. ბოუმენი — 6:2, 6:4.

ასევე კარგად ითამაშა სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ო. მოროზოვამ, რომელმაც პირველ წრეში სძლია რ. ლეგს (ავსტრალია) — 6:4, 6:2.

დარბაზობა ვ. პ. მჟავანაძესთან

31 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო სიბელიუსის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის (ჰელსინკი) გამარჯვებული ლ. ისაკაძე, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, მოჭადრაკე ნ. ალექსანდრია, ვოკალისტთა ბარსელონის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ზ. სოტკილავა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზ. წერეთელი.

ვ. პ. მჟავანაძემ მხურვალედ მიულოცა მათ 1970 წელს მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს, უსურვა ახალი გამარჯვებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში, გადასცა საჩუქრები.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. გოგიჩაიშვილი და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

უცხოეთის ფ. ხბურთის ამბები

● **მეხიკო.** მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ფიფა-ს აცნობა, რომ ამ შეჯიბრებიდან შემოსული ფულის წმინდა მოგება დაახლოებით 2 მილიონი დოლარია. ამ თანხის 10 პროცენტი მიიღო ფიფა-მ, დანარჩენი კი 16 ფინალისტს გაუნაწილდა.

● **გლაზგო.** „გლაზგო რეინჯერსისა" და „სელტიკის" უკანასკნელი მატჩის დროს პოლიციამ დააპატიმრა 100 მაყურებელი.

● **კოპენჰაგენი.** 1970 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დანიაში გამოაცხადეს 25 წლის ი. ლარსენი („აკადემისკი"). მან ეროვნულ ნაკრებში 25-ჯერ ითამაშა.

„სპორტლოტო-71"

1971 წელს მოსკოველებთან ერთად სპორტულ-რიცხობრივ ლატარიაში — „სპორტლოტოში" კიდევ ექვსი ქალაქის — ერევნის, კიევის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოსა და ტალინის მცხოვრებნი ჩაებმებიან.

საკდესის კორესპონდენტმა ვ. პიმენოვმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს უფროსს პ. ჩეკრიჟოვს სთხოვა ეამბნა „სპორტლოტოს" მომავალ გეგმებზე და განვლილი „სეზონის" შედეგებზე.

● **როგორ ჩატარდება შემდგომში „სპორტლოტოს" ტირაჟები?**

— თებერვლის ბოლო დღეს მოსკოვში ჩატარდება ახალი წლის, უკვე მეექვსე ტირაჟი, რომელიც კიეველებისა და ერევნელებისთვის პირველი იქნება. შემდეგ თამაშში ჩაებმებიან ლენინგრადელები, თბილისელები, ბაქოელები და ტალინელები.

„სპორტლოტოს" ბარათები ყველა ქალაქისთვის ერთნაირი იქნება (ფორმით, ფერით, გაფორმებით), რადგან ტირაჟი მათთვის ერთიანია, მაგრამ მოგების მიღება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ბარათებია ჩაშვებული, თუმცა სულ ერთია, ეს ბარათები რომელ ქალაქში იქნება ნაყიდი. 1971 წელს ტირაჟები, რასაკვირველია, მარტო მოსკოვში არ ჩატარდება.

● **სპორტულ-რიცხობრივი ლატარია ჩვენს ქვეყანაში პირველად ტარდება. ჯერჯერობით ხალხი ალბათ ვერ მიეჩვია მას. საშუალოდ რამდენი მოსკოველი მონაწილეობს ყოველი ტირაჟის გათამაშებაში?**

— მოთამაშეთა რიცხვზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩვენ არ დაგვიდგენია, ერთმა კაცმა რამდენი ბილეთი შეიძლება შეიძინოს. მაგრამ ყოველ ტირაჟში საშუალოდ 700 ათასი ბარათი მონაწილეობს. ჩემი აზრით, ეს დასაწყისისთვის ცუდი შედეგი როდია.

● **რამდენმა მოსკოველმა მოიგო 1970 წელს დედაქალაქში მოწყობილ რვა ტირაჟში?**

— 100 ათასზე მეტმა მოსკოველმა 3-დან 5 ათას მანეთამდე მოგება მიიღო. გვყავს რეკორდსმენიც, რომელმაც 5 ათასის ზღვარი გადალახა: მოსკოველმა მძღოლმა ა. სეროვმა მეხუთე ტირაჟში 6036 მანეთი მოიგო, როცა ორ ბარათზე სპორტის 5-5 სახეობა გამოიცნო.

● **რას უსურვებდით „სპორტლოტოს" მონაწილეებს ამ სეზონში?**

— პირველ ყოვლისა, მოგებას. გარდა ამისა, ვუსურვებდი მათ გული არ გაეტეხათ წაგების გამო. გაგახსენებთ, რომ „სპორტლოტოს" გაყიდვით შემოსული თანხის ნახევარი სტადიონების, ჩოგბურთისა და რიკაობის მოედნების, აუზებისა და სხვა ბაზების მშენებლობას ხმარდება. ეს ნიშნავს, რომ მოგებული აღმოჩნდება სპორტის ყველა მოყვარული, თითოეული ჩვენგანი.

სპორტული ლოტოს „საიდუმლოებანი"

ცნობილია, რომ „სპორტლოტოში" წაგებული არავინ რჩება: შემოსავლის ის ნაწილი, რაც ინდივიდუალურ მოგებათა გაცემის შემდეგ დარჩება (საერთო შემოსავლის 50 პროცენტი), სპორტული ბაზების მშენებლობას მოხმარდება. მაგრამ მოთამაშეებს, რასაკვირველია, სურთ პირადად მოიგონ სამი მანეთიდან 5000 მანეთამდე თანხა.

ჯერჯერობით „მაქსიმალური შედეგი აჩვენა" და 5000 მანეთი მოიგო ორმა მონაწილემ. ერთის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ კაცია და 6 ციფრი... სიზმარში ნახა. მეორეა ეკონომისტი მოროზოვა. მან და მისმა ქალიშვილმა ირამ ჩვეულებრივი ლოტოს 99 ქვიდან 49 პირველი შეარჩიეს და შინაური ტირაჟი მოაწყვეს. ამ ტირაჟის შედეგები სავსებით დაემთხვა სპორტული ლოტოს ტირაჟს, რომელიც ორი დღის შემდეგ მოეწყო. სხვათა შორის, როგორც ჩანს, ამ მეთოდით მარტო მოროზოვა როდი ხელმძღვანელობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი ლოტოს კომპლექტებს ახლა მოსკოვში წამლად ველარ იშოვით.

სპორტლოტოს ნამდვილი რეკორდსმენია მძღოლი სეროვი, რომელმაც ორ ბარათზე 5-5 ციფრი ამოიცნო და 6036 მანეთი მიიღო. ორივე ბარათის „გაფორმებისთვის" მას სულ 5 წუთი დასჭირდა. სეროვმა პირველ ყოვლისა გადაშალა ციფრი „2", რადგან ორი ბარათი ჰქონდა. დანარჩენი 4 ციფრი მან კალენდრიდან გადმოიწერა — 7, 14, 21, 28 — ნოემბრის შაბათი დღეები.

სულ 7 ტირაჟში 97 ბარათზე იყო ნაჩვენები სწორად სპორტის 5 და 6 სახეობა.

* * *

მაინც, როგორ უნდა მოიგო „სპორტლოტოში"? რასაკვირველია, სპორტული ლატარიის მთავარი სამმართველოს მუშაკებს ამისი რეცეპტი არა აქვთ. სამაგიეროდ, გაცილებით გონებაგამჭრიახნი არიან თვით ამ თავისებური შეჯიბრების მონაწილენი. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელმაც „მათემატიკოსად" გააცნო თავი „სპორტლოტოს" ხელმძღვანელებს, სამმართველოს მუშაკებს დაურეკა და უთხრა: 5000 მანეთი მოამზადეთო. მას გამოუთვლია, რამდენი ბარათის შეძენაა საჭირო, რათა ტირაჟის ერთ-ერთ ვარიანტში მაინც მიუთითო სწორად ექვსივე ციფრი. აღმოჩნდა, რომ საჭირო ყოფილა 2587 მანეთის და 20 კაპიკის ბილეთების შეძენა. არ ვიცით, იშოვა თუ არა „მათემატიკოსმა" ეს თანხა, მაგრამ უნდა გავაფრთხილოთ იგი, რომ ასეთი მეთოდი მოგების ნაღდ გარანტიას მაინც არ იძლევა. საკმარისია 6 ციფრი გამოიცნოს არა ერთმა, არამედ ხუთმა ან ექვსმა კაცმა, რომ მოგების თანხა, რასაკვირველია, საგრძნობლად შემცირდება.

* * *

„გამარჯვებათა სისტემების" ძებნა, როგორც იტყვიან, პირადი საქმეა. მაგრამ „სპორტლოტომ" გადაწყვიტა ზოგ რამეში თვითონაც დაეხმაროს მონაწილეებს.

მათ, ვინც ჩვეულებრივი ლოტოს სისტემას იყენებს, ქვების მაგიერ შოკოლადის კანფეტებს ურჩევენ. მოსკოვის ერთ-ერთი საკონდიტრო ფაბრიკა 1971 წელს გამოუშვებს სპეციალურ კომპლექტს, რომელშიც ზუსტად 49 კანფეტი იქნება (სპორტის ყველა „სათამაშო" სახეობაში). 6 კანფეტში რომი იქნება ჩასხმული. მათთვის, ვისაც სურს ნამდვილი ტირაჟი მოაწყოს შინ, გამოუშვებენ სუვენირებს: ტირაჟის დოლს 49 პატარა ბურთით.

... ამბობენ, თუ ახალი წლისთვის რამეს ძალიან ისურვებ, აუცილებლად შეგისრულდებაო. შეიძლება ეს „სპორტლოტოსაც" შეეხოს.

გიეცით ნიჭსა გზა ფართო...

... ეს მოხდა ხარკოვში 1960 წელს. უკრაინის ამ ქალაქში დანიშნული იყო სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სამბისტთა ასპარეზობა. სხვებთან ერთად სარბიელზე გამოდიოდა გორის პედინსტიტუტის ნაკრები გუნდიც, რომელიც იმ დროს უკვე საქართველოს სტუდენტთა ჩემპიონი იყო. შეჯიბრების ხარკოველმა ორგანიზატორებმა ალბათ იფიქრეს, გორელი ახალბედები ვერაფრით გამოიჩენენ თავსო და გუნდი მონაწილე კოლექტივების ბოლოში მოაქციეს. ასპარეზობის საზეიმო დახურვის დროს გორელი მოჭიდავეები ალლუმის მონაწილეებს უკვე სათავეში ედგნენ, როგორც საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონები.

... დასავლეთგერმანული ქალაქი ესენი. 1962 წელი. ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი. მონაწილეთა შორის არიან გორელი ათლეტები ა. ქიბროწაშვილი და დ. ბერუაშვილი. პირველმა ყველას აჯობა თავის წონით კატეგორიაში და ევროპის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

... ჩეხოსლოვაკია. 1966 წელი. აქ გაიმართა სტუდენტ ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც უმთავრესად გორელი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ძიუდოს სამშობლოს — იაპონიის წარმომადგენლებთან იწვნია მარცხი და II საპრიზო ადგილი დაიკავა. გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ მოეწყო პირადი შეჯიბრება. ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ რ. მაღალთაძე და გ. ბორჩაშვილი. თუ ვინ მოიგო მაშინდელი ორთაბრძოლა, იგი ახლა არავისთვისაა საინტერესო. მთავარი ისაა, რომ ორივე ათლეტი გორელი იყო, ორივე ათლეტი ამ ქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი, აქაური მწვრთნელის გ. პაპიტაშვილის აღზრდილი გახლდათ.

გ. პაპიტაშვილის სპორტული მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. იგი გახლავთ ბევრი ქართველი მოჭიდავის აღმზრდელი, რომლებმაც რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. იგი არის „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს სამბისტთა და ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელიც. ვჯერა, პაპიტაშვილი კვლავ ბევრ ქართველ ფალავანს დაულოცავს გზას, რომლებიც მსოფლიო სარბიელზე კვლავ სახელს გაუთქვამენ ჩვენს სპორტს.

ეს ყველაფერი ითქვა გასულ ორშაბათს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედინსტიტუტის კლუბში გამართულ საღამოზე, რომელიც ამ უმაღლესი სასწავლებლის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებლის გ. პაპიტაშვილისთვის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელის მინიჭებას მიეძღვნა.

საღამო გახსნა ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანმა, პროფესორმა შ. ქურდაძემ. მოხსენება გ. პაპიტაშვილის სპორტული მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელმა გ. ხაჩიძემ. პაპიტაშვილს მიესალმნენ „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი ვ. პოდგორნოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კუხიანიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ქ. ნინიაშვილი, გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი, ბერშუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბიძინაშვილი, ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი გ. გუდაძე, სახელმოხვეჭილი ფალავნები ა. ქიბროწაშვილი და ა. ბერუაშვილი, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის წარმომადგენელი ა. ხინჩიგაშვილი და სხვ.

დასასრულ გ. პაპიტაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეებს გულთბილი მისალმებისა და კეთილი სურვილებისთვის.

ზ. ჯანდიერი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

* * *

სურათზე: გ. პაპიტაშვილს (მარჯვნივ) გულთბილად ესალმება ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ა. ქიბროწაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ჭადრაკი

ტრადიციული ტურნირები

ჰასტინგსში (ინგლისი) ახალი წლის წინადღით უკვე ორმოცდამეექვსედ აიღო სტარტი საშობაო ტურნირმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ცნობილი დიდოსტატები ვ. ულმანი (გდრ), ლ. პორტიში (უნგრეთი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), რ. ბირნი (აშშ), ნ. კროგიუსი (სსრ კავშირი) და 5 ინგლისელი ოსტატი.

პირველ დღეს კროგიუსმა რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დაამთავრა პარტია პორტიშთან. ულმანმა დაამარცხა პ. მერკლენდი. ყაიმით დასრულდა პარტიები: ჰორტი — გლიგორიჩი და ბირნი — რ. კინი.

მეორე დღეს კროგიუსმა სძლია კინს.

* * *

გრონინგენში (ჰოლანდია) 8 იანვრამდე გასტანს იუნიორ მოჭადრაკეთა ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც 10 ჭაბუკი მონაწილეობს. სსრ კავშირიდან თამაშობს ლვოველი ოსტატი ა. ბელიავსკი.

საბჭოთა ოსტატმა ტურნირი წარმატებით დაიწყო: I ტურში მან შავებით მოუგო ს. ფედერს (დანია).

რიგაში სათამაშოდ

ამას წინათ ქუთაისში ჩატარდა ნორჩ მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელსაც უნდა დაესახელებინა როგორც მოსწავლეთა ნაკრები გუნდის ახალი წევრები, ისე სსრ კავშირის მოსწავლე-მოჭადრაკეთა ჩემპიონატის მონაწილენი.

შეჯიბრებები (გოგონებსა და ჭაბუკებში) შვეიცარიული სისტემით გაიმართა (7-7 ტური).

გოგონებს შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ მ. წერეთელი (თბილისი) და მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი) — 5,5-5,5 ქულა. კოეფიციენტთა ცხრილით I ადგილი თბილისელ მოსწავლეს მიეკუთვნა.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა 9 წლის ჩიბურდანიძემ. გოგონამ კარგად იცის თეორია, უყვარს უშიშლავათო, მწვავე თამაში. ჩემი აზრით, ქუთაისელი მოსწავლის სახით ნიჭიერი მოჭადრაკე გვეზრდება. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მასთან მეცადინეობას.

კარგად ითამაშეს, აგრეთვე, ნ. ფურმანმა (ბათუმი), ლ. ქვარცხავამ, ქ. გეგიძემ (ორივე — თბილისი) და ნ. ჯანჯღავამ (ცხაკაია).

ჭაბუკთა ტურნირში თავი გამოიჩინეს გ. მაჭარაშვილმა (I ადგილი), მ. კაჭარავამ, გ. ზაიჩიკმა, ზ. ბურჭულაძემ (ყველა — თბილისი), ე. აფრიდონიძემ, ა. კლიმჩუკმა, ი. აგალაროვმა, თ. ხანთაძემ (ყველა — ქუთაისი), გ. ჯანაშიამ (ზუგდიდი) და ს. კაპანაძემ (გორი).

რიგაში, სადაც 4 იანვარს დაიწყება მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატი, ითამაშებენ მაჭარაშვილი, კაჭარავა, წერეთელი და ჩიბურდანიძე.

გ. მამავარიანი,
საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

მეფე ლაშიერს არ შეუშინდა



შამათი 10 სვლაში

ამ ამოცანის შემდგენელი ვლადიმერ სავჩენკო სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორია: IV ადგილი დაიკავა მრავალსვლიანი ამოცანების შედგენაში. სავჩენკოს „ნამსახურობის სიაში" ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიისა და სხვა დიდ კონკურსებში მოპოვებული პირველი-მეორე პრიზები შედის. ნიჭიერი პრობლემისტი ტყიბულის მკვიდრია. იგი ლენინის სახელობის მაღაროში მუშაობს ელექტროზეინკლად და დაუსწრებლად სწავლობს დონის როსტოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

ამას წინათ ვ. სავჩენკო დაინიშნა საჭადრაკო კომპოზიციაში სსრ კავშირის გუნდური პირველობის მთავარ მსაჯად მეხუთე დაფაზე (სამსვლიანი ამოცანები).

სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 1970 წლის 3 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი **ნ. მურზიკოვის** ამოცანა სწორად ამოხსნეს: ა. სიხარულიძემ (ჩოხატაურის რაიონი, სოფ. ჩაისუბანი), ზ. თაბაგარმა (ზესტაფონი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. ეe5.

გასული წლის 10 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული **შ. ადეს** ამოცანა სწორად ამოხსნეს (1. ლe8): ე. გოგოჭურმა (გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა), კ. ღუბელაძემ (ზუგდიდის რაიონი, სოფ. ახალსოფელი), ნ. კაპანაძემ (ჭიათურა), ა. ქუხილავამ (წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჭალა) და დ. აზალაძემ (მცხეთის რაიონი, სოფ. ძალოვანი).

პირველი ტური — პირველი პრიზი

ჩელიაბინსკი, 30 დეკემბერი. აქ დაიწყო რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. პირველი სპეციალური პრიზი — პირველი მოგებისთვის — მიიღო მოსკოველმა საერთაშორისო ოსტატმა ე. რუბცოვამ. მან I ტურში სძლია გ. ვინოგრადოვას (მოსკოვის ოლქი).

ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობს, რომელთაგან 7 უცხოელი სტუმარია.

I ტურის სხვა შედეგები ასეთია: კ. სკეგინამ მოუგო რ. ბილუნოვას, ქ. რაძიკოვსკამ (პოლონეთი) — ვ. შიკოვას (ბულგარეთი). ყაიმით დამთავრდა რ. ჰოფმან (გდრ) — კ. ერეტოვას (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრა.

გადადებულ პარტიებში ო. იგნატიევას უპირატესობა აქვს ვ. კისლოვასთან, ხოლო ლ. ლიუბარსკაიას ე. კარაკაშთან (უნგრეთი) — ზედმეტი პაიკი ლაზიერების ენდშპილში. არ შედგა მ. ჟუნკუ (რუმინეთი) — ლ. ჟივკოვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა.

ტურნირი 17 იანვრამდე გასტანს.

ჭადრაკი

ბრანისლავ ნუშიჩი

მოჭიდავეები და გულშემატკივარნი

100-ზე მეტი წელი გავიდა იუგოსლავიური ლიტერატურის კლასიკოსის ბრანისლავ ნუშიჩის დაბადებიდან. შესანიშნავი კომედიების გარდა, მის კალამს ეკუთვნის ბევრი მახვილგონივრული ფელეტონი და იუმორესკა. ერთ-ერთი მათგანია სპორტის თემაზე დაწერილი „მოჭიდავეები და გულშემატკივარნი“.

მას შემდეგ, რაც ეს შეჯიბრებები დაიწყო, მთელს სამყაროს თითქოს ციებ-ცხელება მოედო. ყველგან ერთი და იგივე ამბავია. შეხვალ კაფეში ლუდის დასალევად — მხოლოდ ეს გესმის, გაივლი ქუჩაში — მხოლოდ ამაზეა ლაპარაკი... ის ორნიც, წინ რომ მიდიან, ის ორნიც, უკან რომ ჩანან...

— აი, მურზიკს*), ჩემო ძვირფასო, ძალაც შესწევს და უნარიც!

— კი, მაგრამ, დამეთანხმე, რომ აბერგმა*) საუცხოო სკოლა გაიარა!..

და აი, სულ ასე. ამ ბრძოლაზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე იმაზე, რომელიც სერბი ხალხის მქუხარე ტაშის ქვეშ წარმოებდა სახალხო სკუპშჩინაში.

ნამდვილი ეპიდემიაა, უნდა მოგახსენოთ!

შებრძანდით რომელიც გნებავთ სახელმწიფო კანცელარიაში და მაშინვე თვალში მოგხვდებათ, რომ საქმეები გროვადაა დახვავებული, ჩინოვნიკებს კი ჩაურჭვიათ კალმები სამელნეებში და ცდილობენ ერთმანეთს ყვირილში აჯობონ. მთელი მსოფლიო „პარტიებადაა“ დაყოფილი: „ზანგების პარტია“, „რუსული პარტია“. არიან ისეთებიც, რომლებიც თურქებს ქომაგობენ! ბატონი სიმა, მაგალითად, ამბობს:

— მე, ძმობილო, ყარა-აბდულა*) მომწონს.

გუშინწინ ერთ დაწესებულებაში გახლდით: რაღაც საკითხის გარკვევა დამჭირდა. ბატონმა უფროსმა წინადადება მომცა. მომეცადა და ფინჯანი ყავა შემესვა. თვითონ მას ამ დროს ცხარე კამათი ჰქონდა გამართული მდივანთან.

— სწორია, — ამაღლებული ტონით ამტკიცებდა ბატონი უფროსი. — სწორია. მოჭიდავეს უფლება არა აქვს ფეხში ჩაავლოს ხელი მოწინააღმდეგეს! მაგრამ მურზიკს ხომ მისთვის ფეხში არ ჩაუვლია ხელი!..

— კი, მაგრამ, მან ხომ თავს ზემოთ გადააგდო იგი!

— ამაშია საქმე! მან ასე სტაცა მას ... მე მინდა გაჩვენოთ როგორ... მობრძანდით ერთი აქეთ!

— ვინ? მე?! — შეეკითხა მდივანი.

— მაშ, მაშ, თქვენ! მომიახლოვდით, მე გაჩვენებთ, როგორ სტაცა ხელი, — განაგრძო ბ-მა უფროსმა, რომელიც სულ უფრო მეტად შედიოდა აზარტში. ბ-ნი მდივნის სახე ცარიელ საფულეს დაემსგავსა.

— მაპატიეთ, ბატონო უფროსო, მაგრამ მე განძრევაც არ შემიძლია, ისეთი ჭვალი მაქვს მუცელში...

ამ დროს მე ცოცხალ-მკვდარი ვიდექი და მეშინოდა, ვაითუ უფროსმა მოიძულოს მას ვეჭიდაო-მეთქი. უარს როგორ ვიტყოდი: მე ხომ ვიზა უნდა მიმეღო მისგან! მაგრამ ბატონმა უფროსმა წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა, მოიხსნა მანჟეტები, დარეკა ზარი და განაგრძო მტკიცება:

— სხვათა შორის, მან ზურგიდან აიყვანა მოწინააღმდეგე! სწორად და წმინდად!

ამ დროს შემოვიდა პატარა ბიჭი—შიკრიკი.

— შემოვიდეს ბატონი ლაზა, პრაქტიკანტი! — ბრძანა ბ-მა უფროსმა.

— ამ წუთში, — თქვა ბიჭმა და გაქრა.

ბ-მა უფროსმა კი განაგრძო:

— მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო გაჩერებულიყო ფეხზე. მას მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა. მძლავრი ნახტომი გაეკეთებინა ...

ამ დროს შემოვიდა ბ-ნი ლაზა, პრაქტიკანტი.

— ა, ძალიან კარგი! თქვენ მოჭიდავე ხართ, ბატონო ლაზა?

— არა, ბატონო უფროსო, ტენორი ვარ...

— ეს რაღა ტენორია?

— ტენორით ვმღერი... სიმღერის წრეში, — დამცირებულმა მიუგო ბ-მა ლაზამ.

— არა უშავს, ეს არაფერია... მოიწით აქეთ, ასე დადექით...

რა ჩარა ჰქონდა ბ-ნ ლაზას? სწორედ ამ დილით მიმართა მან უფროსს თხოვნით ავანსის თაობაზე უქმეების წინ... და უფროსიც დაპირდა.

— ახლა თქვენ ნახავთ, თუ როგორ სტაცა მან ხელი, — მიუბრუნდა ბ-ნი უფროსი მდივანს, ჩაავლო ხელი უკნიდან და თავს ზემოთ ასწია. საცოდავმა ბ-მა ლაზამ, რომელიც ამას არასგზით არ მოელოდა, ქვრივის ხმით წამოიკივლა.

— აბა, ახლა? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ბ-მა მდივანმა.

— ახლა, ბატონო ლაზა, გთხოვთ: გადაკოტრიალდით თავზე! — თქვა ბ-მა უფროსმა.

— ვაი-ვაი-ვაი, ბატონო უფროსო! — დაიკვნესა პრაქტიკანტმა ზევიდან. — არ შემიძლია!..

—გადაკოტრიალდით, მე თქვენ გეუბნებით! ნუ გეშინიათ!

საცოდავი ბ-ნი ლაზა ოცდაათი დინარი ავანსის გულისთვის კვნესას და კოტრიალს შეუდგა ბ-ნი უფროსის თავზე. ამ მომენტში ბ-მა უფროსმა პრაქტიკანტი ხელიდან გაუშვა და ისიც მთელი თავისი სიგრძით დაენარცხა იატაკზე.

— პარდონ! — თქვა ბ-მა უფროსმა.

საცოდავი პრაქტიკანტი ადგომას ცდილობდა და გაშმაგებით წყევლიდა როგორც საკუთარ თავს, ისე იმ წუთს, როცა ავანსის თხოვნა მოუვიდა აზრად თავში. მინდოდა ფეხზე წამოდგომაში დავხმარებოდი, მაგრამ ბ-მა უფროსმა გზა გადამიღობა.

— არა, არა, ნუ ადგებით! — წამოიძახა მან. — თქვენ ერთ ბეჭზე დაეცით! დამარცხებული კი მანამდე არა ხართ, სანამ ორივე ბეჭზე არ დაეცემით.

— მე უკვე ოთხივე ბეჭზე ვარ დაცემული, — ეწინააღმდეგებოდა პრაქტიკანტი.

— არა, არა! — უმტკიცებდა ბ-ნი უფროსი.

იგი გაშმაგდა, ეცა ბ-ნ ლაზას და გაიმართა ჭიდაობა იატაკზე. ხან ბ-ნი უფროსი იყო ზევით, ხოლო პრაქტიკანტი ქვევით, ხან ბ-ნი ლაზა მოექცეოდა ზევიდან, ბ-ნი უფროსი კი მის ქვეშ იწვა. ჯიბეებიდან გადმოცვივდა ბლოკნოტები, საკინძეები, ბ-ნ ლაზას გადმოუვარდა განცხადება ავანსის შესახებ...

ვინ იცის, რით გათავდებოდა ეს ყველაფერი, მდივანთან ერთად რომ არ დაგვეყვირა:

— ეყოფა, ეყოფა! ორივე ბეჭით შეეხო!..

მხოლოდ მაშინ ადგა ბ-ნი უფროსი, ადგა ერთიანად დალეწილი პრაქტიკანტიც. ორივე შეუდგა თავისი ნივთების შეგროვებას.

— აი, ბატონო მდივანო, — ამაყად წარმოსთქვა ბ-მა უფროსმა, — ახლა თქვენ ხედავთ, თუ რა არის ნამდვილი სკოლა!..

შემდეგ იგი მიუბრუნდა პრაქტიკანტს, რომელმაც იმის შიშით, რომ ვაითუ უფროსს აზრად მოუვიდეს კიდევ გამოსცადოს ჩემზე რაღაც ილეთებიო, კარისკენ მოკურცხლა.

— გმადლობთ, ბ-ნო ლაზა! — მიაძახა უფროსმა.

— არაფრის, არაფრის, — ლუღლუღებდა პრაქტიკანტი...

... ეს იყო გუშინწინ. მაგრამ ბატონი პაია კიდევ უფრო უარესად მოიქცა. მასაც გადაედო საერთო ვნებათაღელვა, ისიც შეიპყრო საჭიროებამ აეხსნა კინმესთვის, თუ რა არის ჭიდაობის ნამდვილი სკოლა, მაგრამ ვინაიდან ახლომახლო შესაფერისი არავინ მოხვდა ხელთ, შინისკენ გაეშურა და სცადა ყველაფერი ეს აეხსნა თავისი ცოლისთვის.

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ყვიროდა ცოლი, მაგრამ ამან არ გაჭრა.

— ხომ ხედავ, — უხსნიდა მას ბ-ნი პაია, — მან ხელი აი, ასე სტაცა ... მაგრამ ფეხებში არ შეიძლება ხელის ჩავლება! ახლა კი ნახავ, რა არის ნამდვილი სკოლა...

— დამანებე თავი! შენ რა, სულ გადირიე? — კიოდა ცოლი.

— შენ კი თავი დაიცავი! — უპასუხა ბ-მა პაიამ. — წინააღმდეგობა უნდა გამიწიო! დამარცხებულად ვერ ჩაგთვლი, სანამ ორივე ბეჭზე არ დაწვები.

და დაიწყო! წივილი, კივილი... ქალბატონი რუჟა თმებში ჩააფრინდა ბ-ნ პაიას. ეს ისმოდა მხოლოდ:

— ვაი! ნუ იბლანდები კაბაში! ნუ იჩქმიტები! რას მფხაჭნი!?

— ღმერთმა სული გაგაცხებინოს, თავს ზემოთ რომ ასე მატრიალებ. უბრალოდ ვერ დამაწვენ ბეჭებზე?! — მოთქვამდა ქალბატონი რუჟა.

... აი, ასე გადაირია მთელი ბელგრადი. ღმერთო ჩემო, ყველას მოედო ეს ავადმყოფობა! დამიჯერეთ, — ქუჩაში წყნარად გავლა შეუძლებელი გახდა. ვხვდები მეგობარს:

— კაი გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, — მიპასუხებს მეგობარი და იმ დროს, როცა ცალ ხელს მართმევს, მეორეთი კუნთებს მისინჯავს. და არა მარტო მეგობრები — ყველა, უბრალო ნაცნობებიც კი კუნთებზე უთათუნებენ ერთმანეთს.

მეც ვერ ავცდი ამ სენს და თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ. შინ წასვლა მეშინია: უცებ სიდედრს შევისწრებ იქ და თავს ზემოდან გადავისვრი! ქუჩაში გასვლა მეშინია: ვაი თუ უცებ რომელიმე ქალბატონს მოვუთათუნო ხელი კუნთებზე!..

დაგვიფაროს ღმერთმა ასეთი ეპიდემიისგან!..



გ. იაშვილის ნახატი.

---

*) მურზიკი, აბერგი, ყარა-აბდულა — ცნობილი მოჭიდავეების გვარებია, რომლებიც 1907 წელს მონაწილეობდნენ ბელგრადის საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ახალი ამბები

● **ზაკოპანე,** 31 დეკემბერი. საბჭოთა სპორტსმენები ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ. 17,5 კმ-ზე რბოლაში იმარჯვეს ნოვოსიბირსკელებმა ი. კომახოვმა (1:10.20) და ჟ. კოვალიოვმა (1:11.12). ესტაფეტაში საბჭოთა ნაკრებმა საუკეთესო დრო (2:21.47) აჩვენა.

● **ტოკსოვო,** 31 დეკემბერი. ლენინგრადის მახლობლად სპეციალურ ტრასაზე გაიმართა მეორე საკავშირო ტურნირი. ერთადგილიანი ციგებით დაშვებაში ხაუკეთესო იყო მოსკოველი შაშკოვა — 1.07,86. II ადგილზეა რიგელი მილერი — 1.08,16. ვაჟებში მოსკოველმა ი. სვეტიკოვმა იმარჯვა — 1.36,67. ორადგილიანებით ასპარეზობაში ყველას აჯობა რიგელების უპატნიეკს — კიუზისის დუეტმა — 1.08,67.

● **ტერსკოლი,** 31 დეკემბერი. სსრ კავშირის უძლიერეს სამთომოთხილამურეთა ტურნირის ბოლო სახეობა ვაჟთა სპეციალური სლალომი იყო. ორივე ცდაზე ტრასის სიგრძე 450 მეტრს უდრიდა, სიმაღლეთა სხვაობა — 120 მეტრს. პირველი ცდისას ტრასაზე 61 კარი მოეწყო, მეორე ცდისას — 56. მონაწილეთა შედეგები არც ისე სახარბიელო იყო. გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ა. ტორმოსინმა („ბურევესტნიკი“) — 1.37,32. სამჭიდში პირველობაც ტორმოსინს დარჩა — 36,89 საჯარიმო ქულა.

● **ობერსტდორფი** (გფრ), **31 დეკემბერი.** აქ გაიმართა 4 ტრამპლინის ტრადიციული ტურნირის პირველი ეტაპის შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. ყველას აჯობა ი. მორკმა — 235,8 ქულა (ნახტომები — 81,5 და 84 მ). II ადგილზე გავიდა ბ. ტუმტუმი (ორივე — ნორვეგია) — 234,1 (ნახტომები — 82 და 84 მ). III ადგილზეა ტ. პავლიუსიაკი (პოლონეთი) — 233,7 (81,5 და 83 მ).

● **ლოს-ანჯელესი,** 31 დეკემბერი. ათჭიდში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა რ. ჰოჯმა, რომელიც წონით 105 კილოგრამია, აქ გამართულ ტურნირში 7981 ქულა დააგროვა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ 100 მეტრი მან 10,2 წამში გაირბინა. ათჭიდელთაგან ასეთი კარგი შედეგი ჯერ არავის ჰქონია.

● **მონრო** (აშშ), 31 დეკემბერი. ამერიკელმა მძლეოსნებმა დაიწყეს დარბაზებში შეჯიბრებები. ერთი ამგვარი ტურნირი ამ ქალაქში გაიმართა. ნაკლებად ცნობილმა ბ. ფილიპსმა 60 იარდზე რბენაში გაიმეორა რ. ჰეიესის მიერ 1964 წელს დამყარებული მსოფლიო მიღწევა — 5,9 წამი.

● **პრეშოვი,** 31 დეკემბერი. ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა აქ მიმდინარე IV ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა ახალ წარმატებას მიაღწია — მესამე მატჩში ანგარიშით 16:0 დაამარცხა ნორვეგიის გუნდი.

● **სტოკჰოლმი,** 31 დეკემბერი. მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოკეისტთა გუნდი კარგად გამოდის „აჰერნის თასის“ გათამაშებაში. მან მეოთხედ გაიმარჯვა, ამჯერად შვეციის „ლეკსანდთან“ შეხვედრაში — 6:4.

● **დავოსი, 31 დეკემბერი.** „სპენგლერის თასის“ გათამაშებაში მორიგ გამარჯვებას მიაღწია ლენინგრადის ასკ-ს ჰოკეისტთა გუნდმა — მესამე შეხვედრაში ანგარიშით 6:0 სძლია „დიუსელდორფს“ (გფრ).

ახალი ამბები

თასები — უნივერსიტეტსა და „სინათლეს“

თბილისში დამთავრდა საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი კალათბურთში.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში თბილისის ჩემპიონები — სპორტკლუბ „სინათლის“ (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო) კალათბურთელები „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდს შეხვდნენ. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა „სინათლის“ წარმომადგენელთა გამარჯვებით — 81:69 (43:34).

საუკეთესო სნაიპერები იყვნენ: დინამოელთაგან დ. ლექავა — 24 ქულა, მეტოქეთა გუნდიდან კი ი. ლექავა — 21 ქულა. თავიანთი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, აგრეთვე, ვ. ლომაძემ (19 ქულა) და ა. კაზანჯიანმა (16).

ქალთა შორის თასი ტრადიციულად დაისაკუთრეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს თავიანთი ძველი მეტოქეები — სპორტკლუბ „უშბის“ კალათბურთელები.

ფ. ლეონიძე.

ალბერტ შესტერნიოვი — 1970 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ცსკა-ს გუნდისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი ა. შესტერნიოვი 1970 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს 56 ბეჭდვითი ორგანოს, რადიოსა და ტელევიზიის მიმომხილველებმა, რომელთაც ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის“ ტრადიციულ გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა. 91 „მოასპარეზემ“ მას I ადგილი მიაკუთვნა, 12 ჟურნალისტმა — II ადგილი და მხოლოდ ერთმა — III. საბოლოოდ, შესტერნიოვმა 298 ქულა დააგროვა.

II ადგილზე გავიდა ვ. ფედოტოვი (ცსკა) — 159 ქულა, III — ვ. ბანიკოვი (მოსკოვის „ტორპედო“) — 73 ქულა.

წლიწადის 10 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში მოხვდნენ, აგრეთვე, გ. ევრიუჟიხინი (მოსკოვის „დინამო“), ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვ. ნოდია (თბილისის „დინამო“), ვ. ეშტრეკოვი (მოსკოვის „დინამო“), ი. საბო (ვოროშილოვგრადის „ზარია“), ა. ბიშოვეცი (კიევის „დინამო“), ა. კავაზაშვილი (მოსკოვის „სპარტაკი“) და ვ. მუნტიანი (კიევის „დინამო“).

გაგახსენებთ, რომ უწინდელ ექვს გამოკითხვაში გაიმარჯვეს: ვ. ვორონინმა (1964 და 1965 წ.წ.), ა. ბიბამ (1966), ე. სტრელცოვმა (1967 და 1968), ვ. მუნტიანმა (1969).

მკითხველებმა ბონდარჩუკი დაასახელეს

კიევი 31 დეკემბერი. მსოფლიო რეკორდსმენი, ევროპის ჩემპიონი უროს ტყორცნაში, კიეველი ა. ბონდარჩუკი უკრაინის 1970 წლის საუკეთესო სპორტსმენადაა დასახელებული. ეს ტიტული მას მიანიჭეს რესპუბლიკური „სპორტივნაია გაზეტას“ მკითხველებმა, რომელიც ტრადიციულად აწყობს წინასაახალწლო ანკეტას.

ამას წინათ კალიფორნიაში (აშშ) უჩვეულო შეჯიბრება ჩატარდა. სარბიელზე გამოვიდნენ ნორჩი მოტომრბოლელები. მათგან ყველაზე „გამოცდილს" ახლახან შეუსრულდა 12 წელი. ყველაზე უმცროსი 4 წლისა იყო. ნორჩი სპორტსმენები ასპარეზობდნენ 2-5 ცხენის ძალის სიმძლავრის მქონე ძრავიანი მოტოციკლებით.

სურათზე: ნორჩები სტარტისთვის მზად არიან.

„შტერნ" (გფრ) — ასს-ის ფოტო.

ობიექტივში მსოფლიო

7 დღე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე

მაუნტ-კენიის მთა სიდიდით მეორე მწვერვალია აფრიკაში. 30 წლის ავსტრიელი ჰერტ იუტმაიერი თავის მეგობარ ექიმთან ოსვალდ ელცთან ერთად გაემგზავრა ამ მწვერვალის დასაპყრობად. როცა იუტმაიერი 5155 მ სიმაღლის კლდეზე იდგა და დაშვებისთვის მოხერხებულ გზას ეძებდა, უეცრად მის ფეხქვეშ გრანიტი მოწყდა და უფსკრულში გადაეშვა. მას თან გადაჰყვა მთამსვლელიც... მაგრამ იუტმაიერი ცოცხალი გადარჩა.

...ელცმა თოკით დაიჭირა იუტმაიერი, მაგრამ ეს უკანასკნელი კლდეს მიაწყდა და ფეხი მოიტეხა. ელცმა ფრთხილად დაუშვა მეგობარი პატარა მოედანზე და შემდეგ თვითონაც ჩავიდა. მერე იუტმაიერი კლდის ნაპირზე თოკით დაამაგრა, რათა უფსკრულში არ გადაჩეხილიყო, თვითონ კი დამხმარის საძებნელად გაეშურა.

...ფეხის ტკივილი აუტანელი გახდა. გავიდა პირველი ორი დღე. „ამ დღეებში მხოლოდ სიკვდილს ვნატრობდი — იგონებდა შემდეგ იუტმაიერი, — რათა ტანჯვას მალე მოღებოდა ბოლო". მესამე დღეს ელცი გაგამოჩნდა ადგილობრივ მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად. მაგრამ მათი ყველა ცდა, რომ იუტმაიერი მთების ტყვეობიდან დაეხსნათ, მარცხით დამთავრდა. ერთმა მფრინავმა სცადა შვეულმფრენით გადაეყვანა მთამსვლელი, მაგრამ მანქანა კლდეს წამოედო და დაიმტვრა. მფრინავი დაიღუპა.

მხოლოდ მეშვიდე დღეს ინსბრუკიდან ჩამოფრინდა სამთო მაშველი გუნდი. ცოცხალ-მკვდარი იუტმაიერი ალუმინის სპეციალურ საკაცეზე დააწვინეს და უდიდესი რისკის ფასად 30 საათის განმავლობაში გადმოჰყავდათ გვარლებით უხიფათო ადგილზე, შემდეგ კი თვითმფრინავით ინსბრუკში გადაიყვანეს. იუტმაიერი რამდენიმე თვის შემდეგ გამოვა საავადმყოფოდან.

„კვიკ" (გფრ) — ასს-ის ფოტო.

ავტო-71

წლეულს საავტომობილო სპორტში ნავარაუდევი დიდი შეჯიბრებების ჩამოთვლაც კი ძნელი საქმეა: ეს სახეობა საბჭოთა კავშირში ერთობ პოპულარული გახდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ლონდონ — მეხიკოსა და ლონდონ — სიდნეის ავტორალებში საბჭოთა მრბოლელების წარმატებებმა.

უკვე 30 იანვარს მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატი გაიმართება საიპოდრომო რბოლაში. გაზაფხულზე მოეწყობა შეჯიბრება კროსში და საგზატკეცილო წრიული რბოლა. ეს უკანასკნელი სახეობა მეტად გავრცელებულია ბელორუსიაში — მინსკის შემოგარენში სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ტრასაა აგებული. სწორედ აქაა დაგეგმილი დიდი შეჯიბრების — „მინსკი-71" — გამართვა აპრილში.

საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი გზატკეცილზე სამ ეტაპად ჩატარდება (მინსკი, 4-6 ივნისი; რიგა, 20-22 აგვისტო; ტალინი, 27-29 აგვისტო). სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური ქვეყნების გუნდების შეჯიბრებაში „მეგობრობის თასზე". მრბოლელებს სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაში 6 ეტაპის გადალახვა მოუწევთ.

ავტოკროსი მუდამ აურაცხელ მაყურებელს იზიდავს. აქ მოასპარეზეებს არა მარტო მაღალი სისწრაფის განვითარების უნარი უნდა შესწევდეთ, არამედ მკვეთრი აღმართებისა და თავბრუდამხვევი დაღმართების დაძლევაც უნდა იცოდნენ. და აი, 9-11 ივლისს კროსის დისტანციაზე მოასპარეზე უძლიერეს საბჭოთა მრბოლელებს გორკელები იხილავენ.

ცოტა შეჯიბრება არც კარტინგის ოსტატებს ექნებათ. პატარა მანქანები სეზონს 12-14 თებერვალს გახსნიან კურსკის ყინულოვან ბილიკზე.

ოქტომბერში მიკროავტომობილების მძღოლები საფრანგეთში შეიკრიბებიან მსოფლიო ჩემპიონატში სასპარეზოდ.

რალის ოსტატები პირველ სტარტს 21 თებერვალს აიღებენ რიგის გარეუბანში.

საკავშირო შეჯიბრებებთან ერთად საერთაშორისო ტურნირებიც გაიმართება: „შუაღამის მზე" (5-7 თებერვალი, შვეცია), „12 საათი" (8-12 მაისი, ბელგია), „რეიდ პოლსკი" (11-18 ივნისი), „ვლტავა" (9-11 ივლისი, ჩეხოსლოვაკია), „1000 ტბა" (19-29 აგვისტო, ფინეთი), „ვარტბურგი-71" (21 ოქტომბერი, გდრ).

სპორტსმენებთან ერთად გზას ჟურნალისტებიც დაადგებიან. 1970 წელს ჩამოყალიბდა „პრეს-ავტოკლუბი". მისი ნაკრები გუნდი მეორედ აპირებს „ინტერპრესრალიში" მონაწილეობას.

▲ **ლონდონი.** ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ შემოიღო სპეციალური საკვალიფიკაციო ნორმატივები, რომელთა შესრულება აუცილებელია მიუნჰენის ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველთათვის. წონითი კატეგორიების მიხედვით სამჭიდში ნორმატივები ასეთია: 297,5 კგ; 322,5; 355; 390; 425; 435; 455; 475 და 487,5 კგ.

▲ **პარიზი.** პროფესიული ველორბოლის — „ტურ დე ფრანსის" წლევანდელი ტრასა საგრძნობლად შემცირდა: სპორტსმენები 3660 კილომეტრზე იასპარეზებენ. რბოლა სტარტს 26 ივნისს აიღებს მიუნჰენში, ხოლო ფინიში 18 ივლისს პარიზში შედგება. ველორბოლის 20 ეტაპი საფრანგეთის, შვეიცარიის, გფრ-ისა და ბელგიის ტერიტორიებზე გაივლის.

▲ **ოტავა.** კანადელ ტყვიის მსროლელთა ერთ-ერთ დიდ ტურნირში გამარჯვებულმა (შეჯიბრებაში ეროვნული ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ), სპეციალისტებისთვის მანამდე უცნობმა ტ. ბინგლმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ განზრახული აქვს მიუნჰენის ოლიმპიადაში იასპარეზოს. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბინგლი... 88 წლისაა.

ტელეტაიპის ლენტიდან

✦ **სან-პაულუ, 1 იანვარი.** ტრადიციულად „გადავიდნენ" ძველი წლიდან ახალ წელიწადში საერთაშორისო „კორიდა სან-სილვესტრეს" მონაწილეები. ამ შეჯიბრების ტრასა გადის ბორცვებზე, რომლებზეც დგას ბრაზილიაში სიდიდით მეორე ქალაქი. სასპარეზო მანძილი ამჯერად 8700-დან 8920 მეტრამდე გაზარდეს. ამასთან, ეს იყო შეჯიბრების წესების ერთადერთი დარღვევა. სამაგიეროდ, მისი მეორე დაუწერელი ტრადიციის თანახმად, კვლავ გაიმარჯვა არა ბრაზილიელმა, არამედ სტუმარმა. ეს იყო ამერიკელი ფ. შორტერი, რომელსაც მძლეოსნობის საბჭოთა მოყვარულები იცნობენ ლენინგრადში გამართული სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩიდან, სადაც მან 10 კმ-ზე რბენა მოიგო. სტარტის წინ სტუმრები უჩიოდნენ 30-გრადუსიან სიცხეს, მაგრამ შემდეგ გაწვიმდა და აგრილდა. ახალ წლამდე 20 წუთით ადრე სტარტის ნიშანი მისცეს და 23 ქვეყნის 300 მორბენალი სველ ქუჩებს მოედო. მიზნამდე კილომეტრი რომ დარჩა, შორტერი უკვე დამაჯერებლად ლიდერობდა. მან რბენა დაამთავრა „გაზეტა ესპორტივას" შენობასთან, რომელიც „კორიდას" ატარებს. სან-პაულუს მოსახლეობა მხურვალედ მიესალმებოდა გამარჯვებულსა და ახალი წლის დადგომას. შორტერის შედეგია 24.27,4.

✦ **ლენინგრადი, 1 იანვარი.** 23 საათსა და 58 წუთზე ათასფრად განათდა ნევის ნაპირზე აღმართული კოპწია ნაძვის ხე. მაშინვე ცაში აიჭრა ნევის ყინულზე დანთებული უზარმაზარი კოცონის ალი. სწორედ ამ დროს ზამთრის ცურვის 70 მოყვარულმა სტარტი აიღო ტრადიციულ „ყინულის გაცურვაში". ისინი 1970 წელს ჩაეშვნენ წყალში და ფინიში 1971 წელს ჰქონდათ. მათ შორის იყვნენ მასწავლებელი ნ. გორბაჩოვა და მისი ქალიშვილი, სტუდენტი ოლგა, სახდაზღვევის აგენტი ნ. სუსლოვი (იგი არა მარტო ზამთრის ცურვის მოყვარულია, არამედ პუშკინო — ლენინგრადის მარათონული გადარბენების მუდმივი მონაწილეც), ჟურნალისტი ა. სტეპანოვი, 70 წლის ნოქარი ფ. შარაფა. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმნენ თოვლის ბაბუა და თოვლის ქალი, ათასობით ლენინგრადელი და ამ ქალაქის სტუმარი, რომელთაც უჩვეულო სანახაობის საყურებლად ნევის ნაპირებზე მოიყარეს თავი.

✦ **ოიმიაკონი, 1 იანვარი.** აქ ახლა ყინვა 60 გრადუსს აღწევს, მაგრამ იაკუტეთის ამ მხარის რაიონული ცენტრის, დაბა უსტნერის სპორტსმენები... ცურავენ. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მათ შესანიშნავი საჩუქარი — აუზი მიიღეს. სპორტის მოყვარულები ამ აუზში 31 დეკემბერსაც ცურავდნენ და 1 იანვარსაც.

✦ **გარმიშ-პარტენკირხენი, 1 იანვარი.** 24 წლის ნორვეგიელმა ი. მორკმა გაიმარჯვა „მფრინავ მოთხილამურეთა" ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის 4 ტრამპლინის ტურნეს მეორე ეტაპზეც. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში დღეს გამართულ შეჯიბრებაში მორკი 94,5 და 95 მეტრზე გადახტა, რითაც 238 ქულა დააგროვა. მას ოდნავ ჩამორჩა გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი საშუალო ტრამპლინზე ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია). ამ უკანასკნელის შედეგია 235,5 ქულა, ხოლო პირველი ნახტომი სარეკორდოა გარმიშ-პარტენკირხენის ტრამპლინისთვის — 97 მ. ტურნეს მესამე ეტაპი ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ეწყობა.

✦ **ლონდონი, 1 იანვარი.** უჩვეულოდ ხვავრიელმა თოვამ და ყინვამ ტრადიციის უმკაცრესი დამცველები — ინგლისელებიც კი აიძულა 1 იანვარს გადაედოთ ფეხბურთში ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი მატჩები. გაყინულ მინდორზე თამაში შეუძლებელი იყო, თუ ფეხბურთელები ციგურებს არ გაიკეთებდნენ. ბრიტანეთის ფეხბურთის მესვეურები შიშობენ, რომ, თუ თოვლის ბაბუამ ხუმრობას თავი არ დაანება, პირველობის შემდეგი ტურიც გადაიდება.

ზედიზედ მესამე წელია...

სამ თვეს დიდი ინტერესით მიმდინარეობდა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა გუნდების 1970 წლის პირველობა ფეხბურთში.

ზონებში გამარჯვებულმა 7 გუნდმა ფინალური ჯგუფი შექმნა. საბოლოოდ 9 ქულით I ადგილი და „კოლმეურნის" გარდამავალი თასი მოიპოვა სოფ. ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივმა (მწვრთნელი გ. გვილავა). გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ახალკახათის კოლმეურნეობის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ ზედა ეწერის ფეხბურთელები ზედიზედ მესამე წელია ინარჩუნებენ „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასს.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 13374